



რეგისტრაციის N 55/36

საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის
განვითარების მიზნით სსიპ - საგანმანათლებლო და
სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს
მიერ განხორციელებული შესყიდვების შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში 2014 – 2015 წლის საანგარიშო პერიოდისთვის

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ზაზა შეშელაძე

---17--- -----11----- 2017 წელი

ეგზ. N1

საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული შესყიდვების

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

2014 – 2015 წლის საანგარიშო პერიოდისთვის N55/36

თბილისი
2017

სარჩევი

შემაჯამებელი მიმოხილვა.....	3
შესავალი	5
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	5
აუდიტორის პასუხისმგებლობა	5
აუდიტის საგანი	6
აუდიტის მასშტაბი.....	6
კრიტერიუმები.....	6
აუდიტის მიზანი	7
ზოგადი ინფორმაცია ობიექტის საქმიანობის შესახებ	7
1. სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების (ე.წ. FABLAB) შესყიდვა	10
არასრულყოფილი ბაზრის კვლევა	10
2. შეზღუდული კონკურენცია	17
3. არაპროპორციული ტექნიკური მოთხოვნები	22
4. გამარტივებული შესყიდვები.....	24
5. კონტროლის სისტემები	26

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ 2014 - 2015 წლებში განხორციელებული შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის ძირითადი შედეგები:

1. სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ პროფესიული სასწავლებლებისათვის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების აღჭურვილობის (ე.წ. FABLAB) შესყიდვა:

- ✓ სატენდერო დოკუმენტაციით განისაზღვრა კონკურენციის შემზღუდველი პირობა - სატენდერო წინადადების მომზადების და წარდგენის არაგონივრულად შემჭიდროვებული ვადა (2 კალენდარული დღე). ლოჯისტიკური და ტექნიკური თვალსაზრისით მაღალი სირთულის (მანქანა-დანადგარების უმრავლესობის მიხედვით, არ არსებობდა მარაგები და მისი იმპორტი ინდივიდუალური შეკვეთის საფუძველზე ხორციელდება) და არაერთგავაროვანი საქონლის კონცენტრაცია ერთი შესყიდვის ობიექტში პოტენციური მიმწოდებლების მხრიდან საჭიროებდა სატენდერო დოკუმენტაციის შედგენის პროცესში სამუშაოების გაფართოებას და ინტესივობას, რაც დაკავშირებული იყო დამატებით დროის დანახარჯებთან;
- ✓ შესყიდვის საგნის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრას საფუძველად არ ედო ღირებულების დარიცხვის ჯაჭვის შესაბამის რგოლში (ავტორიზებულ დილერებთან და ოფიციალურ დისტრიბუტორებთან) ჩამოყალიბებული ფასი. შესყიდვის ობიექტი შედგებოდა 29 სხვადასხვა დასახელების საქონლისგან, რომელთა უმრავლესობა (16 ერთეული, რომელთა ღირებულება შეადგენდა ჯამური სავარაუდო ღირებულების 96%-ს), იყო რთული და მაღალი სტანდარტის ტექნიკური პარამეტრების მქონე დანადგარი და მოწყობილობა (სამგანზომილებიანი პრინტერი კომპაქტური, პროფესიული ლაზერული ჭრის, გრავირებისა და მარკირების დანადგარი, ვაკუუმ-ფორმირების კომპაქტური აპარატი), რომელსაც საქართველოში არ აწარმოებდნენ და მათი იმპორტი ხორციელდებოდა ავტორიზებული დილერების და ოფიციალური დისტრიბუტორების მეშვეობით. შედეგად, ტენდერში გაიმარჯვა ისეთმა სატენდერო წინადადებამ, რომლის ფასის ფორმირებაში მონაწილეობდა 4 რგოლი: საქონლის მწარმოებელი, იმპორტიორი, შუამავალი I; შუამავალი II. ამასთანავე, ბოლო ორ ეტაპზე წარმოდგენილი კომპანიები დაკავშირებულ პირებს წარმოადგენდნენ, რამაც ერთობლიობაში ხელი შეუწყო შესყიდვის ობიექტზე არაადეკვატური საბაზრო ფასის ჩამოყალიბებას. აგრეთვე მოცემული გარემოება არ იყო გათვალისწინებული შესყიდვის საშუალების (გამარტივებული შესყიდვა, ტენდერი) გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებისას.

2. აუდიტის ჯგუფის მიერ შესწავლილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებული 180 ტენდერიდან - 74 ტენდერში, რომლის შესყიდვის საგანსაც წარმოადგენდა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდები მიმდინარეობდა კონკურენციის გარეშე, რომლის ფარგლებში გაფორმებულმა ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 36,102,319 ლარი.
3. ცალკეულ შემთხვევებში სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი გამოცდილების „მოცულობები“ არ იყო შესყიდვის ობიექტის პარამეტრების (მოცულობა, სირთულე, მიწოდების ვადები და ა.შ.) პროპორციული, რის შედეგადაც ტენდერებში გამარჯვებულად ცხადდებოდნენ არაკვალიფიციური კომპანიები, რომლებიც ჯეროვნად და დათქმულ დროს ვერ ასრულებდნენ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.
4. სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ 15 ხელშეკრულების ფარგლებში (ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება 1,497,115 ლარი), სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ანაზღაურება განხორციელდა ხარჯების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაციის გარეშე განსაზღვრული შესრულებული სამუშაოს ღირებულების მიხედვით, რის შედეგადაც დაირღვა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, რამაც წარმოშვა ანაზღაურებულ თანხებსა და ფაქტობრივ ხარჯებს შორის განსხვავების რისკი. წინამდებარე ანგარიშში განხილულია შესყიდვების განხორციელებისას არსებული ნაკლოვანებები და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

რეკომენდაციები

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს:

რეკომენდაცია N1: ტექნიკური და ლოჯისტიკური თვალსაზრისით, რთული პარამეტრების მქონე საქონლის შესყიდვის დროს პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენის, ჯანსაღი კონკურენციის და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად საბაზრო პირობებისადმი ადეკვატური ფასის და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის მისაღები პირობების უზრუნველყოფის მიზნით, ბაზრის მოკვლევის ეტაპზე შესწავლილ იქნეს შესყიდვის ობიექტის ხელმისაწვდომობა, მიმწოდებლების სპეციალიზების სფერო, მათი შესაძლებლობები და შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობის ინტერესი; გააანალიზდეს ღირებულების დარიცხვის ჯაჭვი და მის საფუძველზე განსაზღვროს რაციონალური სავარაუდო ღირებულება;

რეკომენდაცია N2: სამუშაოების შესყიდვის დროს მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს ელექტრონული ტენდერის ჩატარების ის მეთოდი, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მონაწილე პრეტენდენტების ანონიმურობას, რაც ხელს შეუწყობს ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას;

რეკომენდაცია N3: ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავებისას მხედველობაში იქნეს მიღებული შესყიდვის ობიექტის მოცულობა და სპეციფიკა. მოთხოვნები უნდა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შესაძლებლობა ჰქონდეს, შეაფასოს კომპანიების ტექნიკური ცოდნა/გამოცდილება, ფინანსური შესაძლებლობები და სანდოობა, რათა თავიდან აიცილოს არაკვალიფიციური კომპანიების გამარჯვება, რაც უზრუნველყოფს სამუშაოების დროულ და ჯეროვან შესრულებას.

შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. სააგენტოს ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სააგენტოს მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით ჩატარებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი წარიმართა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას იმ მიზნით, რათა მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმასთან დაკავშირებით, შეესაბამება თუ არა სააგენტოს საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობას, სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით.

აუდიტი ჩატარდა შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით. სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ ამოწმებს ყველა ფინანსურ ოპერაციას. აუდიტის ანგარიში და დასკვნა არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად, აუდიტორული დასკვნის გამყარების

მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას. ჩვენ მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია არსებული გარემოებისთვის.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით სააგენტოს მიერ განხორციელებული შესყიდვები.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტისას შესწავლილ იქნა 2014 – 2015 წლები. აუდიტმა მოიცვა 188 ხელშეკრულება, ღირებულებით 121,849,471 ლარი, რაც ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, სააგენტოს მიერ განხორციელებული შესყიდვების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების 63%-ია.

შესწავლილი 188 ხელშეკრულებიდან, 180 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაცია/მშენებლობა, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 94,863,350 ლარს, რაც მშენებლობა/რეაბილიტაციაზე გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულების 90%-ს შეადგენს.

გამოყენებული კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- ✓ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- ✓ საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“;
- ✓ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადების ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
- ✓ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ✓ Directive 2014/24/EU of the European Parliament and of the Council.

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

1. დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, თუ რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.
2. აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება - მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

ზოგადი ინფორმაცია ობიექტის საქმიანობის შესახებ

სააგენტო არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

მისია:

სააგენტოს ძირითადი მისიაა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა სწავლის პროცესში.

მიზნები:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ინვენტარით და ტექნიკით მომარაგება/აღჭურვა;
- ✓ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ✓ თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ✓ მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა.

ბიუჯეტი

2014 წელს სააგენტოს საბოლოო დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენდა 132,792,250 ლარს:

ცხრილი N1.

სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს აპარატი	1,752,460
საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა	4,587,230
პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“	19,255,060
საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	92,820,450
მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა	14,350,050
საკუთარი შემოსავლები	27,000

2015 წელს სააგენტოს საბოლოო დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენდა 108,884,420 ლარს:

ცხრილი N2.

სააგენტოს აპარატი	1,795,730
ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა	5,128,200
პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“	16,208,680
ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	79,937,520
მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა	5,748,290
აზერბაიჯანის რესპუბლიკაში არსებული ქართული სკოლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა	39,000
საკუთარი შემოსავლები	27,000

სააგენტოს სამოქმედო გეგმა


სააგენტო საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაციას ახორციელებს „ინფრასტრუქტურის განვითარების სამოქმედო გეგმის“ შესაბამისად, რომელიც მტკიცდება ყოველწლიურად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით.

2014 წლის ინფრასტრუქტურის განვითარების სამოქმედო გეგმა დამტკიცდა 2014 წლის 25 მარტს. გეგმის თანახმად, სარეაბილიტაციო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების

რაოდენობამ შეადგინა 348 ერთეული. გეგმაში განხორციელდა 2 ცვლილება (ცვლილება N1, 10 ივლისი; ცვლილება N2, 31 ოქტომბერი), რომლის თანახმადაც, სარეაბილიტაციო დაწესებულებების რაოდენობა განისაზღვრა 395 ერთეულით.

2015 წელს ინფრასტრუქტურის განვითარების სამოქმედო გეგმა დამტკიცდა 27 თებერვალს, სადაც საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის სარეაბილიტაციო შენობა-ნაგებობის რაოდენობა განისაზღვრა 469 ერთეულით. სამოქმედო გეგმაში წლის განმავლობაში შევიდა 7 ცვლილება და საბოლოოდ, სარეაბილიტაციო დაწესებულებების რაოდენობამ შეადგინა 759 ერთეული.

2014 – 2015 წლებში შესრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოები:



2015 წლის ბოლოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ 114 ობიექტზე მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო 41 ობიექტზე - სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები.

აღნიშნული ობიექტების დროულად დაუსრულებლობა გამოწვეული იყო შესყიდვის პროცედურების და სახელშეკრულებო ვადების ობიექტური გახანგრძლივებით.

ზოგადად, საგანმანათლებლო დაწესებულებების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის ორი მოდელი არსებობს. პირველი, როდესაც სააგენტო უშუალოდ აწარმოებს პროცედურებს საგანმანათლებლო დაწესებულებების სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე, მეორე, როდესაც სააგენტოს დაფინანსებით, უშუალოდ საგანმანათლებლო დაწესებულებები ახორციელებენ შესყიდვის პროცედურებს. ამ უკანასკნელის მიხედვით, დაფინანსების მოცულობამ შეადგინა:

2014 წელი:

ცხრილი N3.

საგანმანათლებლო დაწესებულება	დაფინანსების მოცულობა (ლარი)
პროფესიული სასწავლებლები	5,758,445
უნივერსიტეტები	8,471,808
საჯარო სკოლები	16,608,846

2015 წელი:

ცხრილი N4.

საგანმანათლებლო დაწესებულება	დაფინანსების მოცულობა (ლარი)
პროფესიული სასწავლებლები	3,510,075
უნივერსიტეტები	10,415,622
საჯარო სკოლები	5,896,769

სააგენტოს მიერ განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოები:

ცხრილი N5.

პერიოდი	სახელშეკრულებო ღირებულება	ფაქტობრივი შესრულება	%
2014 წელი	45,288,943	38,820,161	85%
2015 წელი	59,345,599	41,469,071	70%

1. სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების (ე.წ. FABLAB) შესყიდვა

არასრულყოფილი ბაზრის კვლევა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კონტროლს-დაქვემდებარებულ სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსა და საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლობის ფარგლებში მომზადდა პროფესიულ სასწავლებლებში სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების მოწყობის კონცეფცია (ე.წ. FABLAB). მოცემული კონცეფციის ფარგლებში შესწავლილ იქნა

კოლეჯების მიმართულებები, ლაბორატორიული და სახელოსნო დაზგა-დანადგარების სიმძლავრეები და ფუნქციონალური შესაძლებლობები. განისაზღვრა ლაბორატორიების მოსაწყობად საჭირო დაზგა-დანადგარების ჩამონათვალი და ბაზრის მოკვლევის საფუძველზე, ლაბორატორიული აღჭურვილობის გარკვეული ნაწილისთვის სავარაუდო ღირებულებები.

2015 წლის 7 ოქტომბერს სააგენტომ დამოუკიდებლად დაიწყო ბაზრის კვლევის პროცედურები, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით. მოწვევა დაეგზავნა 55 ადგილობრივ და 7 არარეზიდენტ კომპანიას. ამასთანავე, 2015 წლის 9 ოქტომბერს ბაზრის კვლევის პროცედურების დაწყებაზე განაცხადი განთავსდა ასევე სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ პორტალზე. წინადადება სრულად წარმოადგინა მხოლოდ შპს „დაზგამ“, რომლის ღირებულება შეადგენდა 3,437,856 ლარს და მოიცავდა საქონლის ადგილზე მიტანას, ინსტალაციას და გაშვებას, საწყისი მასალების პაკეტებს და თანამშრომლების ტრენინგების მომსახურების ღირებულებას.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა განხორციელებული ბაზრის მოკვლევის ხარვეზები:

კომპანიების შერჩევა განხორციელდა არა შესყიდვის საგნის პარამეტრების, მახასიათებლების, სირთულის გათვალისწინებით, არამედ ინტერნეტრესურსის საძიებო სისტემაში იმ „საკვანძო“ საქონლის მითითებით, რომელიც წარმოადგენდა ლაბორატორიული აღჭურვილობის შემადგენელ კომპონენტს, რის გამოც შერჩეულ კომპანიებში მოხდნენ არაპროფილური საქმიანობის სფეროში მოღვაწე შემდეგი კომპანიები: შპს „არტ ჰაუსი“ (საქმიანობა: მარკები, ჩეკები, წიგნაკები, ბანკნოტები, სარეკლამო მასალა, კატალოგები და სახელმძღვანელოები); შპს - „ჰიდროსპეცმშენი“ (საქმიანობა: მთლიანი ან ნაწილობრივი სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები), ი/მ დავით ხუჯაძე (საქმიანობა: საღებავები, საოჯახო ტექნიკა, ნათურები), შპს - „ევოკო ჯგუფი“ (საქმიანობა: საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჯაჭვები, გასანათებელი მოწყობილობები, სამშენებლო მასალები, დამხმარე სამშენებლო მასალები), შპს - ACHO 007 (საქმიანობა: სარეცხი და საწმენდი საშუალებები, პირადი ჰიგიენის საშუალებები), რაც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ბაზრის კვლევის ეტაპზე არ განხორციელდა კომუნიკაცია პროფილურ კომპანიებთან.

შესყიდვის საგანი შედგებოდა 29 სხვადასხვა დასახელების საქონლისგან, რომელთა უმრავლესობა (16 ერთეული, რომელთა ღირებულება შეადგენდა ჯამური სავარაუდო ღირებულების 96%-ს), იყო რთული და მაღალი სტანდარტის ტექნიკური პარამეტრების მქონე დანადგარი და მოწყობილობა (სამგანზომილებიანი პრინტერი კომპაქტური, პროფესიული ლაზერული ჭრის, გრავირების და მარკირების დანადგარი, ვაკუუმფორმირების კომპაქტური აპარატი), რომელიც საქართველოში არ იწარმოება და მათი იმპორტი ხორციელდება ავტორიზებული დილერების და ოფიციალური დისტრიბუტორების მეშვეობით. მაგალითად: Oki-ს ფირმის პრინტერების ავტორიზებული დილერი საქართველოში არის შპს - საინფორმაციო და კავშირგაბმულობის სისტემები; Dell-ის ფირმის ლეპტოპების ოფიციალური წარმომადგენელი ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და კავკასიაში არის შპს - ACC

distribution, რომლებთანაც სააგენტოს კომუნიკაცია არ ჰქონია და შესაბამისად, ამ კომპანიების ჩართვა ბაზრის კვლევის ეტაპზე არ მომხდარა. შპს „დაზგა“ არის Epilog, AXYZ, InfoTEC, Graphtec, MAKERBOT-ის 3D პრინტერების ოფიციალური იმპორტიორი სამხრეთ კავკასიაში. აღნიშნული გარემოება არ იყო გათვალისწინებული: პირველი, სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის დროს - შესყიდვის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სავარაუდო ღირებულების ფორმირების ბაზას წარმოადგენს ფასწარმოქმნის დისტრიბუციის რგოლის მიხედვით ჩამოყალიბებული საბოლოო ღირებულება და მეორე, მოცემულ შემთხვევაში სხვადასხვა შესყიდვის საშუალების (გამარტივებული შესყიდვა, ტენდერი) გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებისას, რომელიც საფუძვლად დაედებოდა შესყიდვის მისაღები საშუალებების შერჩევას.

შესყიდვების ელექტრონულ პორტალზე ბაზრის მოკვლევის დაწყების შესახებ განაცხადში არ იყო მითითებული შესასყიდი ლაბორატორიული აღჭურვილობის თითოეული ელემენტის ტექნიკური პარამეტრები;

ბაზრის კვლევის ეტაპზე არ იყო გათვალისწინებული ის ფაქტორები, რომლებიც ერთობლიობაში გავლენას ახდენდნენ სატენდერო წინადადების შემუშავებისა და მიწოდების რაციონალური ვადების განსაზღვრაზე, კერძოდ:

1. ლაბორატორიული ხელსაწყოების მონტაჟი უნდა განხორციელებულიყო 14 პროფესიულ კოლეჯში, მათ შორის, 9 კოლეჯში მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები, საიდანაც 4 კოლეჯში („ემისი“, „იბერია“, „ოპიზარი“, „სპექტრი“) კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადა აღემატებოდა ლაბორატორიული ხელსაწყოების მიწოდების ვადას.

პროფესიული კოლეჯები, სადაც განხორციელდა FABLAB-ის მონტაჟი:
ცხრილი N6.

პროფესიული კოლეჯი	ხელშეკრულების თარიღი	სამუშაოს დასრულების ვადა (პირველადი)	სამუშაოს დასრულების ვადა (კორექტირებული)	ობიექტის ღირებულება (ლარი)	დასამონტაჟებელი FABLAB-ის ღირებულებულება	FABLAB-ის მონტაჟის თარიღი
„მერმისი“	24.08.2015	20.01.2016	29.07.2016	897,915	258,134	2016 წლის ივნისი
„ემისი“	09.11.2015	07.03.2016	06.05.2016	1,263,000	163,543	2015 წლის თებერვალი
„სპექტრი“	17.09.2015	13.04.2016	21.04.2017	1,633,708	228,103	დამონტაჟებულ ია ნაწილობრივ

„იბერია“	05.11.2015	02.05.2016		1,299,849	258,134	2017 წლის მაისი
„თეთნულდი“	31.07.2015	18.10.2015	28.12.2015	691,390	243,103	2016 წლის თებერვალი
„აისი“	24.08.2015	20.01.2016	05.03.2016	612,777	258,134	2016 წლის თებერვალი
„ოპიზარი“	04.11.2015	31.05.2016	30.06.2016	777,039	258,134	Fablab-ი კოლეჯს გადაეცა 2016 წლის თებერვალში, ხოლო მისი დამონტაჟება მოხდა 2016 წლის შემოდგომაზე
„ახალი ტალღა“	22.09.2015	19.01.2016	19.06.2016	657,850	258,134	2016 წლის მარტი
„მოდუსი“	15.09.2015	13.11.2015		307,777	258,134	2016 წლის იანვარი
„ბლექსი“					258,134	2016 წლის თებერვალი
„გლდანი“					250,204	2016 წლის თებერვალი
„ერქვანი“					258,134	2016 წლის თებერვალი
„ლაკადა“					258,134	2016 წლის თებერვალი
„ფაზისი“					243,103	2016 წლის თებერვალი

როგორც ცხრილიდან ჩანს, თებერვალში FABLAB-ი დამონტაჟებული იყო 10 პროფესიულ კოლეჯში. აღნიშნულ კოლეჯებში დამონტაჟებული FABLAB-ის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 2,448,757 ლარი, რაც FABLAB-ის მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულებულების 73%-ს შეადგენს.

2. ლაბორატორიული აღჭურვილობის ძირითადი მასის მწარმოებელი კომპანიები ოპერირებენ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ამასთანავე, გასათვალისწინებელი იყო მოცემულ ქვეყნებში საშობაო დღესასწაულებთან დაკავშირებული მიწოდების შეზღუდვები.

3. შესყიდვის ობიექტის სირთულე და სავარაუდო ღირებულების მაღალი მოცულობა (16 დასახელების რთული ტექნიკური პარამეტრების მქონე დანადგარი, 3,229,760 სავარაუდო ღირებულება). ამასთანავე, აღნიშნული საქონლის ძირითადი მასა იწარმოება ქვეყნის ფარგლებს გარეთ და მათი მიწოდება ძირითადად ხორციელდება ინდივიდუალური შეკვეთების საფუძველზე ავტორიზებული დილერების და ოფიციალური დისტრიბუტორების მიერ.

გამოვლენილი გარემოებები არ შეესაბამება ბაზრის კვლევის პროცედურებისთვის დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ: პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები პირობების განსაზღვრის მიზნით, შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იქნეს ბაზრის გამოკვლევის შედეგები¹. ბაზრის კვლევის დროს უნდა განისაზღვროს:

-)/ შესყიდვის ობიექტის ხელმისაწვდომობა;
-)/ შესყიდვის ობიექტის ფასი;
-)/ მიწოდების პირობები;
-)/ მიმწოდებლების სპეციალიზების სფერო, მათი შესაძლებლობები და შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობის ინტერესი².

სააგენტომ სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების (FABLAB) შესყიდვაზე გამარტივებული ელექტრონული ტენდერის განაცხადი სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ პორტალზე ატვირთა 2015 წლის 21 ოქტომბერს (SPA150028374). ტენდერის სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 3,437,856 ლარი.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა კომპანიამ:

ცხრილი N7.

პრეტენდენტები	I რაუნდი	II რაუნდი	III რაუნდი
შპს „ორიემი“	3,372,000	3,372,000	3,372,000
შპს „კეპიტალ საინ ტრეიდი“	3,300,000	3,300,000	3,300,000

როგორც ცხრილიდან ჩანს, ელექტრონული ვაჭრობის დამატებით რაუნდებში შპს „ორიემმა“ არ განახორციელა ფასის კლება, უპირატესობის მოპოვების მიზნით.

3 ნოემბერს სატენდერო კომისიამ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის მქონე კომპანიას მიმართა სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, რომელიც ეხებოდა, როგორც ტექნიკური პარამეტრების დაზუსტებას, ასევე საგარანტიო ვადებს და დაზუსტების ვადად განისაზღვრა 3 სამუშაო დღე.

შპს „კეპიტალ საინ ტრეიდი“ 6 ნოემბერს წარმოდგენილი წერილით უარი განაცხადა სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტებაზე და მიზეზად მიუთითა ხელოვნური დაბრკოლებები, რომელიც მას შეექმნა შესყიდვის პროცედურების მიმდინარეობისას.

¹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 9, პუნქტი 6, ქვეპუნქტი „ე“.

² სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ - „შესყიდვების მოსამზადებელი ეტაპის წარმართვის მეთოდოლოგია“, თავი 1.2.2.


შესაბამისად, სატენდერო კომისიამ დისკვალიფიკაცია მისცა დაბალფასიან კომპანიას და 10 ნოემბერს სატენდერო კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ორიემი“, რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის 14 დეკემბერს, ღირებულებით - 3,372,000 ლარი. განაცხადის რეგისტრაციიდან ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდმა შეადგინა 54 კალენდარული დღე.

ზემოაღნიშნულის შედეგად:

- ✓ ჩამოყალიბდა კონკურენციის შემზღუდველი პირობები, რაც გამოვლინდა სატენდერო დოკუმენტაციით სატენდერო წინადადების მომზადების და წარდგენის არაგონივრულად შემჭიდროვებული ვადის (2 კალენდარული დღე) განსაზღვრაში. ლოჯისტიკური თვალსაზრისით მაღალი სირთულის (მანქანა-დანადგარების უმრავლესობის მიხედვით, არ არსებობდა მარაგები და მისი იმპორტი ინდივიდუალური შეკვეთის საფუძველზე ხორციელდება) და არაერთგვაროვანი საქონლის კონცენტრაცია ერთი შესყიდვის ობიექტში საჭიროებს პოტენციური მიმწოდებლების მხრიდან სატენდერო დოკუმენტაციის შედგენის პროცესში სამუშაოების გაფართოებას და ინტენსივობას, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია დამატებითი დროის დანახარჯებთან. ამასვე ადასტურებდა ტენდერში მონაწილე ერთ-ერთი კომპანია³. სატენდერო დოკუმენტაციით, მიწოდების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 კალენდარული დღე, რომელიც შესყიდვის ობიექტის ზემოთ აღნიშნული სპეციფიკური ბუნების და პროფესიულ კოლეჯებში დაგეგმილი სარემონტო სამუშაოების გამო, რთულად შესასრულებელ პირობას და არაეფექტიან ლოჯისტიკურ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა, რამაც, თავის მხრივ, წარმოშვა პოტენციური მიმწოდებლების მხრიდან სატენდერო პროცედურებში მონაწილეობისაგან თავის შეკავების რისკები.
- ✓ ტენდერში გაიმარჯვა ისეთმა სატენდერო წინადადებამ, რომლის ფასის ფორმირებაში მონაწილეობდა 4 რგოლი: საქონლის მწარმოებელი, იმპორტიორი, შუამავალი I (შპს „იმგო“); შუამავალი II (შპს „ორიემი“). ამასთანავე, ბოლო ორ ეტაპზე წარმოდგენილი კომპანიები დაკავშირებულ პირებს წარმოადგენენ, რაც, თავის მხრივ, მოცემულ საქონელზე არაადეკვატური საბაზრო ფასის ჩამოყალიბების თვალსაზრისით მაღალი რისკის მატარებელია, კერძოდ: შპს „ორიემს“ ლაბორატორიული აღჭურვილობისათვის საჭირო სპეციალური დანადგარები სრულად შესყიდული აქვს შპს „იმგოსგან“. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ შპს „ორიემს“ და შპს „იმგოს“ ჰყავთ საერთო დამფუძნებლები.

³ შპს „კეპიტალ საინ ტრეიდის“ 2015 წლის 6 ნოემბრის წერილი.

FABLAB-ის შესყიდვის ჯაჭვი:



საბაჟო-საგადასახადო და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ საქონლის ღირებულება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სააგენტოს შესყიდვის ფასისგან, მაგალითად: შპს „იმგომ“ პროგრამირებადი საკერავი მანქანების იმპორტი განახორციელა 2016 წლის 5 თებერვალს, ერთეულის ღირებულებამ შეადგინა 7,556 ლარი (დღგ-ის გარეშე), შპს „ორიემმა“ შპს „იმგოსგან“ საკერავი მანქანა შეიძინა 17,630 ლარად (დღგ-ის გარეშე), ხოლო სააგენტოს მიაწოდა 26,161 ლარად (დღგ-ის გარეშე), შესაბამისად, ფასწარმოქმნის საშუამავლო ეტაპზე დამატებულმა ღირებულებამ შეადგინა 18,605 ლარი (240%).

შპს „იმგომ“ მოცემული პროექტის ფარგლებში 751,193 ლარის (დღგ-ის გარეშე) ღირებულების საქონლის იმპორტი განახორციელა, რომლის მიხედვით, საშუამავლო რგოლში დამატებულმა ღირებულებამ შეადგინა 329,036 ლარი (დღგ-ის გარეშე) (43,8%), ხოლო 1,542,241 ლარის ღირებულების საქონელი შეიძინა ადგილობრივი კომპანიებისგან, რომელთა ძირითადი ნაწილი მწარმოებელი კომპანიების ავტორიზებულ დილერებს და ოფიციალურ დისტრიბუტორებს წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში, საშუამავლო რგოლში დამატებულმა ღირებულებამ - 235,157 ლარი (დღგ-ის გარეშე), ანუ 15,2 % შეადგინა. პროექტის სრული მოცულობის ფარგლებში შუამავალ რგოლში დამატებულმა ღირებულებამ შეადგინა 564,193 ლარი (დღგ-ის გარეშე), რომელმაც წარმოების და იმპორტის ეტაპზე ჩამოყალიბებული საქონლის ღირებულების 24,6 % შეადგინა.

დასკვნა:

სააგენტოს მიერ არ არის განხორციელებული გაფართოებული და ინტენსიური ბაზრის კვლევის პროცედურები, რის შედეგადაც სატენდერო დოკუმენტაციაში კონკურენციის შემზღუდველი პირობა ჩამოყალიბდა. ამასთანავე, არასრულყოფილი ბაზრის მოკვლევის გამო, არასწორად განისაზღვრა სავარაუდო ღირებულება, რამაც გაზარდა ისეთი სატენდერო წინადადების გამარჯვების შანსი, რომლის ფასიც მოიცავდა ღირებულების დარიცხვის ჯაჭვის საშუალოდ რგოლში ჩამოყალიბებულ ხელოვნურად მაღალ კომპენსაციას (ფასნამატს), რომელმაც მოცემულ შემთხვევაში შეადგინა 564,193 ლარი (დღგ-ის გარეშე).

რეკომენდაცია N1:

ტექნიკური და ლოჯისტიკური თვალსაზრისით, რთული პარამეტრების მქონე საქონლის შესყიდვის დროს პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენის, ჯანსაღი კონკურენციის და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად, საბაზრო პირობებისადმი ადეკვატური ფასის და სააგენტოსთვის მისაღები სხვა პირობების უზრუნველყოფის მიზნით, ბაზრის მოკვლევის ეტაპზე შესწავლილ იქნეს შესყიდვის ობიექტის ხელმისაწვდომობა, მიმწოდებლების სპეციალიზების სფერო, მათი შესაძლებლობები და შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობის ინტერესი; გაანალიზებულ იქნეს ღირებულების დარიცხვის ჯაჭვი და მის საფუძველზე განსაზღვრულ იქნეს რაციონალური სავარაუდო ღირებულება.

2. შეზღუდული კონკურენცია

სააგენტოს მიერ სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილე პრეტენდენტთა რაოდენობა მაღალია, მაგრამ ელექტრონული ვაჭრობის ძირითად დროში დაფიქსირებული ფასები არ იცვლება ვაჭრობის დამატებით რაუნდებში, ე.ი. ფასის მიხედვით კონკურენციას არ დაფიქსირებულა. შესწავლილი 188 ერთეული ტენდერიდან, მსგავს მდგომარეობა შეიქმნა 74 შემთხვევაში, მათ შორის, 16 შემთხვევაში პრეტენდენტების მიერ ფასის კლება არ იყო გამოხატული ბაზარზე (ამ შემთხვევაში ბაზრად მიჩნეული კონკრეტული შესყიდვა) უპირატესობის მოსაპოვებლად, ანუ ფასის კლება გავლენას არ ახდენდა ელექტრონული ვაჭრობის საბოლოო შედეგზე - გამარჯვებულის გამოვლენა. მოცემულ შემთხვევებში მაქსიმალურ ფასსა და მინიმალურ ფასს შორის დიაპაზონი არ არის მაღალი და ამ დიაპაზონში არსებულ ნებისმიერ წინადადებას საფასო კონკურენციის გზით უპირატესობის მოპოვების რესურსი გააჩნია, ხოლო უშუალო კონკურენტების ფასებს შორის სხვაობა მერყეობს 0%-დან 15%-მდე დიაპაზონში, მაგალითად:

ცხრილი N8.

ტენდერის ნომერი	პრეტენდენტები	პირველი რაუნდის შეთავაზება	ბოლო რაუნდის შეთავაზება	ფასთა სხვაობა	გამარჯვებული
SPA150017927	შპს სვირი+	679,990	679,990	1.90%	შპს „სანტრილი“
	შპს სანტრილი	667,000	667,000		
SPA150027527	ამაგი	307,963	307,963	0%	ჯემალ ირემაძე
	ჯემალ ირემაძე	307,963	307,963		

ცხრილი N9. ტენდერები, რომელთა მიხედვით ელექტრონული ვაჭრობის დამატებით რაუნდებში არ ყოფილა ფასის კლება:

ტენდერის ნომერი	სავარაუდო ღირებულება	პრეტენდენტები	I რაუნდი	II რაუნდი	III რაუნდი	გამარჯვებული
SPA150019721	563,614	შპს აისი	557,978	557,978	557,978	შპს „მშენებელი“ 2013
		შპს მშენებელი 2013	507,252	507,252	507,252	
SPA150019724	434,255	ბურჯი XXI	420,000	420,000	420,000	შპს „მშენებელი“ 2013
		შპს მშენებელი 2013	391,729	391,729	391,729	
SPA140013977	410,190	შპს ინდიკო	400,297	400,297	400,297	შპს „მ.გ.მ.“
		შპს მ.გ.მ.	344,000	344,000	344,000	
SPA150022780	858,828	შპს ზაზო	798,710	798,710	798,710	შპს „ტერმინალი“
		შპს აკვედუკი 07	772,777	772,777	772,777	
		შპს ტერმინალი	770,977	770,977	770,977	
		შპს ნამი	334,455	334,455	334,455	
SPA150026747	337,861	შპს ალიგატორი 1	329,140	329,140	329,140	შპს „ზაზო“
		შპს ზაზო	314,177	314,177	314,177	
		შპს ალიგატორი 1	341,140	341,140	341,140	
SPA150027352	368,969	შპს ტოტალ	335,550	335,550	335,550	შპს „ზაზო“
		შპს ზაზო	330,000	330,000	330,000	
SPA150029457	366,899	შპს ნ.მ. 2007	327,770	327,770	327,770	შპს „წყარო“

		შპს ალიგატორი 1	326,140	326,140	326,140	
		შპს ტაო	310,013	310,013	310,013	
		შპს ზაზო	293,520	293,520	293,520	
		შპს მარდი	293,520	293,520	293,520	
		შპს წყარო	292,969	292,969	292,969	
SPA150030051	297,409	შპს ზანგო-2015	250,000	250,000	250,000	შპს „მ.გ.მ.“
		შპს გილანი	235,999	235,999	235,999	
		შპს მ.გ.მ.	216,500	216,500	216,500	

ცხრილი N10. ტენდერები, რომელთა მიხედვით, ელექტრონული ვაჭრობის დამატებით რაუნდებში პრეტენდენტების მიერ დაფიქსირებული ფასის კლება არ იყო მიმართული უპირატესობის მოსაპოვებლად:

ტენდერის ნომერი	სავარაუდო ღირებულება	პრეტენდენტები	I რაუნდი	II რაუნდი	III რაუნდი	გამარჯვებული
SPA150018977	1,000,299	შპს „მგდ“	1,000,299	1,000,299	1,000,299	შპს იერი
		შპს „არქიკულტურა“	950,000	950,000	940,000	
		შპს „მტმ“	949,555	949,555	939,555	
		შპს „იერი“	899,000	899,000	899,000	
SPA140010380	826,364	შპს „ბლოკ-ჯორჯია“	800,000	800,000	800,000	შპს „თელა“
		შპს „მ.გ.მ.“	769,000	747,000	747,000	
		შპს „მშენებელი 2013“	747,777	739,517	739,517	
		შპს „სივილ კონსტრაქშენ“	663,000	663,000	663,000	
		შპს „თელა“	661,092	661,092	661,092	
SPA140013598	290,618	შპს „ყვარელრემშენი“	240,000	235,000	232,000	შპს „ბურჯი XXI“
		შპს „ბეთა“	239,999	234,998	231,998	
		შპს „ბურჯი XXI“	228,000	228,000	228,000	

არის შემთხვევები, როდესაც კომპანიები, რომლებიც გაცხადებული ფასების მიხედვით წარმოადგენენ უშუალო კონკურენტებს, ელექტრონულ ვაჭრობაში უპირატესობის მოპოვების მცდელობის გარეშე მონაცვლეობით იმარჯვებენ სხვადასხვა ტენდერებში.

მაგალითად:

2015 წლის 23 აპრილს შენობის დასრულების სამუშაოებზე გამოცხადდა 2 ელექტრონული ტენდერი (SPA150012107; SPA150012114).

ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის N3 საჯარო სკოლის შენობის დასრულების სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში (SPA150012107), რომლის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 780,602 ლარს, მონაწილეობა მიიღო 8 კომპანიამ:

ცხრილი N11.

ტენდერში მონაწილე კომპანიები	I რაუნდი	II რაუნდი	III რაუნდი
შპს „აისი“	721,085	721,085	721,085
შპს ჰესპია მური	699,999	699,999	699,999
შპს „არქიტექტურა“	663,500	663,500	663,500
შპს „ზაზო“	624,482	624,482	624,482
შპს „მშენებელი“	624,482	624,482	624,482
შპს „კომპანიონი“	624,482	624,482	624,482
შპს „თ.ბ. კაპიტალი“	624,482	624,482	624,482
შპს „სვირი +“	619,980	619,980	619,980

აღნიშნულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „სვირი+“, რომლის კონკურენტს წარმოადგენდა შპს „ზაზო“, რომელმაც დააფიქსირა მომდევნო ყველაზე დაბალი ფასი (ტენდერში მონაწილე 3 კომპანიასთან ერთად).

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლების - გოგოლესუბნის, ნაბედლავის, სამების, ფარცხმისა და შუა ფარცხმის საჯარო სკოლებში შენობის დასრულების სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში (SPA150012114), რომლის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 621,076 ლარს, მონაწილეობა მიიღო 5 კომპანიამ:

ცხრილი N12.

ტენდერში მონაწილე კომპანიები	I რაუნდი	II რაუნდი	III რაუნდი
შპს „ქართული სამშენებლო ჯგუფი“	599,568	599,568	599,568
შპს „ქართლი“	570,000	570,000	570,000
შპს „სვირი+“	569,800	535,000	520,000
შპს „მშენებელი 2013“	555,555	534,999	519,999
შპს „ზაზო“	496,861	496,861	496,861

ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ზაზო“, ხოლო შპს „სვირი+“-მა ვაჭრობის დამატებით რაუნდებში ფასის კლება განახორციელა არა ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის მქონე კომპანიის - შპს „ზაზოს“ მიმართ, არამედ შპს „მშენებელი 2013“-ის ფასთან მიმართებაში. გამოვლენილი გარემოებები შეუსაბამობაშია „კონკურენციის შესახებ“ და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონების მოთხოვნებთან, რომელთა მიხედვით, კონკურენცია არის შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობა, ამ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად⁴. სახელმწიფო შესყიდვების პროცესში კონკურენცია ხორციელდება ელექტრონული ვაჭრობის ფორმით, რომლის დროსაც პრეტენდენტს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით, შეუძლია შეამციროს მის მიერ წარმოდგენილი ფასი შესყიდვის პროცედურაში გამარჯვების მოპოვების მიზნით⁵. შედეგად, ელექტრონული ვაჭრობის დამატებით რაუნდებში კონკურენციის გარეშე განხორციელდა 74 ტენდერი, რომლის ფარგლებში გაფორმებულმა ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 36,102,319 ლარი.

დასკვნა:

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა ქმედებები შეიცავს კონკურენციის შეზღუდვის რისკებს, რის საფუძველზეც საბოლოო ფასი ფიქსირდება არა ბაზარზე უპირატესობის მოპოვების მიზნით - რეალური ვაჭრობის საფუძველზე, არამედ ე.წ. „მოჩვენებითი“, ლოიალური კონკურენციის შედეგად.

⁴ საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“, მუხლი 3, „ბ“ ქვეპუნქტი.

⁵ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 1, „ტ“ ქვეპუნქტი.

რეკომენდაცია N2:

სამუშაოების შესყიდვის დროს მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს ელექტრონული ტენდერის ჩატარების ის მეთოდი, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მონაწილე პრეტენდენტების ანონიმურობას, რაც ხელს შეუწყობს ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას;

3. არაპროპორციული ტექნიკური მოთხოვნები

სატენდერო დოკუმენტაციით, პრეტენდენტებისადმი წაყენებულ ერთ-ერთ აუცილებელ ტექნიკურ მოთხოვნად განსაზღვრული იყო სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების გამოცდილება, რის დასტურადაც პრეტენდენტს უნდა წარმოედგინა მიღება-ჩაბარების აქტები. ცალკეულ შემთხვევაში, მოთხოვნილი გამოცდილების „მოცულობები“ არ იყო შესყიდვის ობიექტის პარამეტრების (მოცულობა, სირთულე, მიწოდების ვადები და ა.შ.) პროპორციული, კერძოდ:

1. 2014 წლის 14 ივნისს სააგენტომ გამოაცხადა ტენდერი (SPA1140015194) სამტრედიის მუნიციპალიტეტის (N6, N9, N12, სოფლების - ქვაყუდე, ღანირი, ჭაგანა, ნაბაკევი) საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე. სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 708,756 ლარს. ტექნიკური დავალების მიხედვით, პრეტენდენტებს 2011 წლიდან შესრულებული უნდა ჰქონოდათ არანაკლებ 200,000 ლარის ღირებულების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. სამუშაოს მიწოდების ვადა შეადგენდა 35 კალენდარულ დღეს. სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, 708,756 ლარის სამუშაოები მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა 35 კალენდარულ დღეში, მაშინ, როდესაც სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო არანაკლებ 200,000 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულება 3 წლის განმავლობაში. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ი/მ თამაზ ჯანელიძემ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პრეტენდენტის მიერ შესრულებული სამუშაოების ოდენობა შეადგენდა 223,591 ლარს. 2014 წლის 31 ივლისს გაუფორმდა ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 633,333 ლარი.

2014 წლის 21 ოქტომბერს ი/მ თამაზ ჯანელიძესთან გაფორმებული ხელშეკრულება სააგენტომ შეწყვიტა არაჯეროვანი შესრულების მოტივით. ხელშეკრულების ფარგლებში სააგენტომ მიმწოდებელს აუნაზღაურა შესრულებული სამუშაოს ღირებულება 504,699 ლარის ოდენობით.

2. 2014 წლის 17 ივნისს სააგენტომ გამოაცხადა ტენდერი (SPA1140015410) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფლების (ფოკა, რადიონოვკა, ყულალისი) საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე. ტენდერის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა 585,377 ლარი. ტექნიკური დავალების მიხედვით, პრეტენდენტებს 2011 წლიდან შესრულებული უნდა ჰქონოდათ არანაკლებ 200,000 ლარის ღირებულების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. მიწოდების ვადად განისაზღვრა 35 კალენდარული დღე, ანუ 585,377 ლარის სამუშაოები უნდა შესრულებულიყო 35 კალენდარულ დღეში, მაშინ, როდესაც

სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო არანაკლებ 200,000 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულება 3 წლის განმავლობაში.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა, ი/მ ნანი შავაძემ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით (მიღება-ჩაბარების აქტები), მის მიერ შესრულებული სამუშაოების ოდენობა შეადგენდა 218,703 ლარს. 2014 წლის 29 ივნისს ი/მ ნანი შავაძეს გაუფორმდა ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 537,777 ლარი. 2014 წლის 27 აგვისტოს (ვალდებულების შესრულების ვადის ამოწურვამდე 4 დღით ადრე) ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებდა შესრულების ვადის გაგრძელებას 20 კალენდარული დღით.

2014 წლის 16 ოქტომბერს ხელშეკრულება შეწყდა ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში სააგენტომ მიმწოდებელს აუნაზღაურა შესრულებული სამუშაოს ღირებულება 479,014 ლარის ოდენობით.

3. 2014 წლის 23 ივლისს სააგენტომ გამოაცხადა ტენდერი (SPA140017947) ქ. რუსთავის N9 და N18 საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე, სავარაუდო ღირებულებით 382,473 ლარი. ტექნიკური დავალების მიხედვით, პრეტენდენტებს 2011 წლიდან შესრულებული უნდა ჰქონოდათ არანაკლებ 100,000 ლარის ღირებულების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. ტენდერში მონაწილეობა მიიღო 2 კომპანიამ: ი/მ გოჩა დუმბაძემ და შპს „თელამ“. მიუხედავად იმისა, რომ ტენდერში 2-მა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა, ელექტორნული ვაჭრობის დროს, რაუნდებს შორის ფასების კლება არ მომხდარა. 2014 წლის 4 სექტემბერს სააგენტომ ხელშეკრულება გააფორმა ი/მ გოჩა დუმბაძესთან, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 305,978 ლარი. სამუშაოების შესრულების ვადა განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 35 დღე.

სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, 350,978 ლარის სამუშაოები მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა 35 კალენდარულ დღეში, მაშინ, როდესაც სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო არანაკლებ 100,000 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულება, 3 წლის განმავლობაში.

25 სექტემბრიდან 14 ნოემბრის ჩათვლით, ხელშეკრულებაში განხორციელდა 5 ცვლილება, რის შედეგადაც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა გახანგრძლივდა 2014 წლის 17 ნოემბრამდე.

2014 წლის 19 ნოემბერს ხელშეკრულება შეწყდა არაჯეროვანი შესრულების მოტივით და ხელშეკრულების ფარგლებში სააგენტომ მიმწოდებელს აუნაზღაურა შესრულებული სამუშაოს ღირებულება 230,807 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნული შემთხვევები შეუსაბამოა ევროკავშირის დირექტივებთან, რომლის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან წაყენებული ტექნიკური და კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოთხოვნები უნდა ემსახურებოდეს მიმწოდებლების

ტექნიკური ცოდნის/გამოცდილების, ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების და სანდოობის შეფასების მიზანს⁶.

დასკვნა:

პოტენციური მიმწოდებლების გამოცდილების „მოცულობის“ მიმართ წაყენებულმა არაპროპორციულად დაბალმა ტექნიკურმა მოთხოვნამ განაპირობა სატენდერო პროცედურებში არაკვალიფიციური კომპანიების გამარჯვება, რომლებიც ჯეროვნად და დროულად ვერ ასრულებენ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

რეკომენდაცია N3:

სააგენტომ ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავების დროს მხედველობაში მიიღოს შესყიდვის ობიექტის მოცულობა და სპეციფიკა. მოთხოვნები უნდა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ სააგენტოს შესაძლებლობა ჰქონდეს შეაფასოს კომპანიების ტექნიკური ცოდნა/გამოცდილება, ფინანსური შესაძლებლობები და სანდოობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული არაკვალიფიციური კომპანიების გამარჯვება, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სამუშაოების დროულ და ჯეროვან შესრულებას.

4. გამარტივებული შესყიდვები

აუდირებულ პერიოდში სააგენტომ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე გამარტივებული წესით გააფორმა 20 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 1,804,713 ლარი.

ცხრილი N13.

წელი	რაოდენობა	ღირებულება (ლარი)
2014	10	944,247
2015	10	860,466

მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება ხორციელდებოდა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე. როგორც წარმოდგენილი დასკვნებიდან ირკვევა, მხოლოდ 5 შემთხვევაში (საერთო სახელშეკრულებო ღირებულებით 307,598 ლარი), ფაქტობრივი დანახარჯები დაანგარიშებულია შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივი მოცულობების საფუძველზე, რომელთა განფასება განხორციელებულია ხარჯის დამადასტურებელ პირველად დოკუმენტებში მითითებული ერთეულის ღირებულების მიხედვით, ხოლო სხვა შემთხვევაში (15 ხელშეკრულება, ჯამური

⁶ მიზნების აღნიშნული კლასიფიკაცია მოყვანილია ვეროკავშირის დირექტივებში, იხ. Directive 2014/24/EU of the European Parliament and of the Council, Article 58.

ღირებულება - 1,497,115ლარი), შესრულებული სამუშაოს ღირებულება განსაზღვრულია ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირებული ერთეულის ღირებულების მიხედვით. ხარჯთაღრიცხვა წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და საკონტრაქტო ფასის განსაზღვრის საფუძველს, სადაც შესასრულებელი სამუშაოს მოცულობები სახეების და დანახარჯების ელემენტების მიხედვით განფასებულია მხარეებს შორის შეთანხმებული, სავარაუდო საბაზრო ფასებით. ფაქტობრივი ფასი, რომელიც არის ფაქტობრივი დანახარჯების განსაზღვრის საფუძველი, წარმოადგენს გარიგებაში (პირველად დოკუმენტში) გაცხადებულ ფასს და საბაზრო ფასისგან მის განსხვავებაზე მიუთითებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ნორმა⁷.

მიუხედავად აუდიტის ჯგუფის მიმართვისა, აუდიტის ობიექტის მიერ მიმწოდებლებისაგან არ იქნა გამოთხოვილი ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მათი განმარტებით „სააგენტო საბოლოო ანგარიშსწორებას მომწოდებელთან ახორციელებს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. პირველადი დოკუმენტაციის წარდგენა მიმწოდებლის მიერ ხდება საექსპერტო დაწესებულებაში, რომელთა საფუძველზეც მზადდება დასკვნა. აქედან გამომდინარე, სააგენტოს ეს დოკუმენტაცია არ გააჩნია“.

აღნიშნული გარემოება შეუსაბამოა ამ სფეროს მარეგულირებელ მოთხოვნასთან, რომლის მიხედვითაც სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით⁸, რამაც წარმოშვა აღნიშნული კონტრაქტების მიხედვით ანაზღაურებულ თანხებსა და ფაქტობრივ ხარჯებს შორის განსხვავების რისკი.

დასკვნა:

15 ხელშეკრულების ფარგლებში (ჯამური ღირებულება - 1,497,115 ლარი) სამშენებლო სამუშაოების ასანაზღაურებელი ღირებულება განისაზღვრა ხარჯების დამადასტურებელ პირველად დოკუმენტაციაში გაცხადებული ფაქტობრივი ფასის გათვალისწინების გარეშე, რითაც დაირღვა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

⁷გადასახადების დაბეგვრის მიზნებისათვის გამოიყენება გარიგებაში საქონლის/მომსახურების ფაქტობრივი ფასი, თუ საგადასახადო კოდექსით საბაზრო ფასის ან სხვა ღირებულებულების გამოყენება არ არის გათვალისწინებული.

⁸საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ.

5. კონტროლის სისუსტეები

5.1 ე.წ. „ფარული სამუშაოები“

სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა წარმოადგენს პროცესს, რომელიც ხორციელდება მშენებლობის დაწყების დღიდან საბოლოო მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტამდე. იგი ემსახურება დამკვეთის პერიოდულ ინფორმირებას, თუ რამდენად შეესაბამება მშენებლობა საპროექტო და ტექნიკურ დოკუმენტებს, სამუშაოთა წარმოების გრაფიკს. ტექნიკური ზედამხედველი ახორციელებს შესრულებულ სამუშაოებზე კონტროლს და ადგენს ფარული სამუშაოების აქტებს. ფარული სამუშაოების აქტები უნდა შედგეს უშუალოდ ფარული სამუშაოების შესრულების მომენტში და მასში ასახული უნდა იყოს შესრულებული სამუშაოების მოცულობა და შესრულების დრო.

სააგენტოს მიერ სოფელ ახალი დიოკნისეს საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, რომლის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 2,234,524 ლარს, განსახორციელებელი ფარული სამუშაოები შეადგენდა მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების დაახლოებით 30%-ს. სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მიმწოდებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილ შუალედურ შესრულებული სამუშაოს აქტებს, თან ახლავს დაუთარილებელი ფარული სამუშაოების აქტები.

5.2 ხარჯთაღრიცხვაში განხორციელებული ცვლილებები

სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდეგ, სააგენტოს სამშენებლო-საპროექტო სამსახურის მენეჯერი ადგილზე სწავლობს სკოლის შენობის ტექნიკურ მდგომარეობას. შესწავლა გულისხმობს შენობის მდგრადობის ვიზუალურ შემოწმებას, რაზეც ადგენს მოხსენებით ბარათს სააგენტოს ხელმძღვანელის სახელზე. მოხსენებით ბარათში მითითებულია სარეაბილიტაციო ობიექტის მდგომარეობის აღწერილობა. ვიზუალური დაკვირვების შედეგად ბზარების არსებობის შემთხვევაში, პროცესში ერთვება სააგენტოს სამშენებლო-საპროექტო სამსახურის თანამშრომელი-კონსტრუქტორი, რომელიც სწავლობს შენობის ავარიულობას, რომლის დადგენის შემთხვევაში, სააგენტო მიმართავს ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს.

აუდიტის ჯგუფის მიერ შესწავლილი 180 ხელშეკრულებიდან, 165 ხელშეკრულებაში შესრულების პროცესში შევიდა ცვლილებები, რომელთა უმრავლესობაც ეხებოდა ხარჯთაღრიცხვის კორექტირებას. 148 ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება ხარჯთაღრიცხვის კორექტირების საფუძვლით, აქედან, 52 შემთხვევაში საჭირო გახდა დამატებითი სამუშაოების შესრულება, რომელიც არ იყო თავდაპირველად გათვალისწინებული. განხორციელებული ცვლილების ანალიზის შედეგად, ცალკეულ შემთხვევებში ხარჯთაღრიცხვის შედგენის ეტაპზე შესაძლებელი იყო იმ სამუშაოების გათვალისწინება, რომლებიც შემდგომ გახდა ცვლილების მიზეზი, მაგალითად: 2014 წლის 20

ივნისის გამოცხადებულ ტენდერზე (SPA140013972) ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული იყო 694 კვ.მ კედლის შელესვა, მაგრამ არ იყო გათვალისწინებული იმავე მოცულობის კედელზე ამორტიზებული ნალესის მოხსნა, ასევე ხარჯთაღრიცხვაში არ იყო გათვალისწინებული არსებულ კიბეზე 450 კგ. ლითონის ელემენტების დემონტაჟი.

105 ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ცვლილება შევიდა მიწოდების ვადებთან დაკავშირებით, რის შედეგადაც მიმწოდებლებს განესაზღვრათ დამატებითი ვადები.

აუდიტორთა ხელმოწერა:

მთავარი აუდიტორი

(ჯგუფის უფროსი)



ზურაბ მაისურაძე

მთავარი აუდიტორი




მამუკა ჯოხაძე

აუდიტორი



მარიამ რობაქიძე

აუდიტორი



ალექსანდრე ასათიანი

აუდიტორი



ირაკლი დალაქიშვილი

აუდიტორი

ასმათ ლილუაშვილი

